


საფრენი

№ 33

საღამური

სოციალ-დემოკრატიული იუბორ. ჟურნალი

მომავლის ქორეზი.



ლოცოგაძისა ს. ბიხოვისა

ბ. ა. შალჩი

საფრენი მანქანის მოგონებამ საკონებელში ჩააგდო მდიდრები, რადგან მოსალოდნელია ბავშვების მოტაცება ამ გზით უფრო განვითარდეს.

მღვდელი და ექიმი.

მღვდელმა უბრძანა დიაკონს:
„ხომ ხედავ ღმერთი სწყურებოა!
არც ქორწილია, არც ნათვლა
და არც არავინ კვდებაო.“

—
კოლეგი სხვის ქმრებს მისდევენ,
ვინღა დაიწერს ჯვარსაო?
შვილებიც ხომ აღარა ჰყავთ?!
ხმარობენ ჯადოქარსაო.

—
სიკვდილიც განზე გვიდგება,
ის ჩვენი კოლეგიტ სავსეო!
აღარ გვაქვს შემოსავალი
და გლახაკს დავემსგავსეო“.

—
დიაკონმა სთქვა: „მამაო!
გულს ნუ გაიტებს ჯერაო!
რომ ბედი გამობრუნდება
ამ მოკლე ხანში, მჯერაო!“

—
ჩხუბი მოსვლიათ დოქტორებს
ერთმანეთს აკვდებიანო!
სნეულთან აღარ მიდიან
და თუ მიდიან—გვიანო.“

—
რალას არგებენ მომაკვდავს?
მაგრამ არ სტკივთ გულიო:
რეცებტებს სწერენ სიჩქარით,
რომ ჩაიჯიბონ ფულიო.

—
ფეხისას თავზე ადებენ
და ფეხზე თავის წამალსო;
დიპლომით ძლეტენ ქვეყანას
და ვინღა დასდებს მათ ბრალსო“.

—
მღვდელმა სთქვა: „ღმერთმა აკურთხოს
იმათი მოხელობაო!
ისინიც რომ არ გვშველოდნენ,
რალას გვარგებდა მღვდლობაო“.

აკაკი.

ავათმყოფობა.

გუბლენი ა. ნ. შ.

დასაწყისი მინისტრის ავათმყოფობისა ასე გაი-
გეს: მოიწვია ერთხელ მან თავისი მდივანი და
უთხრა:

— შეადგინეთ ცირკულიარი საშუალო სასწავ-
ლებელთა დირექტორების სახელზე, რომ არას შემ-

თხვევაში პოლონელი ქალები არ შეირთონ ცო-
ლათ.

— სასწავლებლების?
— არა, დირექტორების სახელზე; რომ დი-
რექტორებმა კოლეგი არ შეირთონ. აბა, დასწერე
და დაგზავნე.

— გვესმის. ასრულებულ იქნება!
იმავე დღეს მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა.
— აბა, ბატონებო... წარმოსთქვა თავმჯდომარე-
რემ.— მოჰყევით ვის რა გაგიკეთებიათ?

მსწრაფლ წამოიჭრა ის მინისტრი, რომლის
შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ და განაცხადა:

— მე, ბატონებო, გიმნაზიის დირექტორებს
ავუკრძალე პოლონელი ქალების კოლათ შერთვა.
ამხანაგებმა აათვალ-ჩათვალაიერეს მილაპარაკე
მინისტრი.

— მერე რატომ? რისთვის?
— ისე, ტყვილათ. ესეც ხომ რეფორმაა!

მინისტრებმა ერთმანეთს გადახედეს და ლაპა-
რაკი სხვა საგანზე გადაიტანეს.

— მე კიდევ მაქვს ერთი განზრახვა, ღიმილით
დაიწყო იმავე მინისტრმა.— გამოვსცემ ბრძანებას,
რომ მასწავლებლათ უთუოდ ქერა ხალხი მიიღონ.

— ჰმ... ეს გასაოცარია! ეკ რალა საქირაო?

— არა, ნურც ეგრე იტყვიო... ყოველ შემ-
თხვევაში ესეც რეფორმაა!..

— კი, მაგრამ შეგვგრძანებმა რალა დააშვეს?

— ებრაელი რომ გამოერიოს!!

თავმჯდომარემ შრავალმნიშვნელოვანათ ჩაიქნია
თავი და თითები აათამაშა:

— რამდენსა შრომობთ, რამდენსა ზრუნავთ
თქვენ. ალბათ ძალიან იღლებით!..

— არც ისე ძალიან ბატონო ჩემო.

— უნდა თავს გაუფრთხილდეთ!

ყველანი ღრმით ჩაფიქრდენ.

* * *

— კრებას ვხსნი, წარმოსთქვა მინისტრთა საბ-
ჭოს თავმჯდომარემ,— გთხოვთ ბატონებო გვაცნო-
ბოთ ვის რა ღვაწლი მიუძღვის?

— მე! უცებ წამოიძახა იმავე მინისტრმა, რო-
მელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ.

— აბა?

— მე ერთხელ ბევრი ვიფიქრე ჩვენი საშვალო
სკოლების დაძაბუნებაზე.

— მოიფიქრეთ რამე?

— დიახ. მიზეზი გათახსირებისა მოსწავლეთა
სარტყელის სიფართოვეა. ის უნდა შემოვიღოთ
ორი თითის დადებით უფრო ვიწრო.

— განა რაშია საქმე?

— საინტერესო ისტორიაა! ვანიერი სარტყე-
ლი, თავისი ზედა კილით აწვება გულ-მკერდის ქვე-
და მხარეს და სწურავს მას. ეს მოწურვა იწვევს
სულთქმის შეხუთვას და ეს უკანასკნელი კი ცუ-

დათ მოქმედობს მოსწავლის სულიერ განწყობილებაზე. დაძაბუნებულ სულიერი განწყობილება—აი მიზეზი ჩვენი გათახსირებისა!

— ოჰოოო, რა შრომის მოყვარე ყოფილხართ, ლტერსიანათ უთხრა თავმჯდომარემ, რა მოსაქმესულ იღწვით, იტანჯებით. შეხედეთ სახეზედაც როგორი მოქანცულობა გეტყობათ, უთუოდ თავს ცუდათა გრძნობთ!

— არა, გმადლობთ. სრულად საღათ გახლავარ.

— ეჰ, რას ამბობთ. განა რა არის ჩვენი, მინისტრების, ჯანმრთელობა!.. ცხადია, თქვენ ავათა ხართ. ბატონებო, შეხედეთ, ნუ თუ ეს ავათყოფი არ არის?

— ცოტათი უნდა იყოს. დაემოწმენ მინისტრები.

— აი, ხედავთ? გულითა გთხოვთ მხოლოდ თქვენს ჯანმრთელობაზე იზრუნოთ მინისტრი გაფითრდა.

— თქვენ მე მაშინებთ!

— თქვენ უნდა თავს მოუფრთხილდეთ, უნდა მორჩეთ!

ყველანი ღრმით ჩაფიქრდენ.

* *

— აბა, ბატონებო. დაიწყო თავმჯდომარემ, სხომას ვიწყებ. გთხოვთ გვაცნობოთ ვის რა მოლვაწე...

— მე!!

— აბა გვიბრძანეთ.

— ოო, დიდი მოხერხებულის საშვალეა გამოვიგონე: გამოვეცი ბრძანება, რომ მოსწავლეთა მშობლები ერთ დიდ სახელში დასახლდენ, ერთად იცხოვრონ.

— რისთვის?

— აი რისთვის: თუ ყველანი ერთად იცხოვრებენ, მაშინ ადვილი იქნება მოსწავლეთა ყურის გდება სკოლის გარეშეც წესებიც გამოვიმუშავე ასეთი გარემოებისათვის. მოსწავლენი, რომელნიც შენიშნულ იქნებიან პაპირაოზის წყეაში, რომელნიც ატარებენ წვერ-ულვაშს, ჯოხს და სხვა და სხვა საქაულებს...

თავმჯდომარემ ხელები გაშალა.

— ღმერთო ჩემო, თქვენ ნამდვილი მოწამე ხართ თქვენი მოვალეობისა. კრებასაც აღარ დააკლდით თუმცა ასე უზომო ავათყოფი ხართ.

— მე?.. მე სრულიადაც არა ვარ ავათ!..

— რას ამბობთ, რას? კაცის ფერი აღარ გაქვთ!.. ოი, ღმერთო, წყალი, წყალი მოაშველეთ! ჩქარა ღვთის გულსათვის, ჩქარა!

— არა ბატონო, არ მჭირია წყალი, არა!

— რა საშინელებაა! ადამიანს ასეთი სიცხე აქვს, ასეთი შეხედულება და კიდევ მუშაობს, შრომობს... არა, ჩემო კეთილო... თუ თქვენ თითონ არ

ზრუნავთ თქვენს ჯანმრთელობაზე, მაშინ ხომ ჩვენი წმინდა მოყალიობაა ამაზე ვიზრუნოთ?.. თქვენ დასვენება გექ ვრებათ..

— მაშ კარგი, ავიღებ ორი კვირის თავისუფლებას.

— პა—პა—პაა! ცოტაა. ოცდა ათი წლით, გესმისთ ოცდა ათი წლით! ამ ხნის განმავლობაში თქვენ დამშვიდდებით, იაქიმებო, განისვენებთ...

— სამინისტროს რაღა ეშველება?

— ეჰ, განა ღირს რაღაც განყენებულ საგანზე ლაპარაკი, როცა ცოცხალი ადამიანის ბედია განსაცდელში!

ამხანაგები გარს ეხვეოდენ ავათყოფ მინისტრსა და ჩოჩქოლობდენ. ერთმა მათგანმა რაღაც ქაღალდი მიაჩეა ხელში

— ეს რაა?

— არაფერი. უბრალო ფორმალური ჩვეულებაა, უბრალო თხოვნა!

— რის თხოვნა?

— აი იმაზე.. როგორ ავიხსნა. აი იმის შესახებ. პო, დიახ... მაგრამ ეს სულერთია, რა საჭიროა, თქვენ მხოლოდ ხელი მოაწერეთ, იქ თითონ იციან.

— ეჰ, რა ოხერი რამეა ეს ავათყოფობა! ჩაილაპარაკა მინისტრთა თავმჯდომარემ. მერმე რა მუშაკი იყო, რა მოსაქმე!

— ჩემი ქული სად არის? ნაღვლიანათ იკითხა ავათყოფმა მინისტრმა.

— აი ქული, ნუ დაგვივიწყებთ, მეგობარო! მშვიდობით. თავს გაუფრთხილდით, თავს! ეჰ, რა მუშაკი...

როცა ყოფილი მინისტრი კარებიდან გამოვიდა, მასთან უეტრივ მოიქრა გაზეთის რეპარტიორი.

— სამსახურიდან გამობრძანდით? არ შევიძლიათ ავიხსნათ, თუ რა მიზეზით?

— აი ეხლავ, ამ წამში. ჩაზედავ აქ ქაღალდში მიწერია.


ყოფილმა მინისტრმა აჰოილო ჯიბიდან თხოვნის ქაღალდი და გახსნა

— აი ახლავ გაცნობებთ, ვნახო ჯერ ის ადგილი, აი ისიც.

„უზომო შრომისაგან გამოწვეული ავათყოფობის გამო“...

„სატირიკონი.“

თომა ოპისკინი.



მამა და შვილი.

(სოფელი ბავშვის გაუგებრობა)

გოგილომ ჰკითხა ივანეს:
— მამილო, გენაცვალე,
დღეს ჩვენში ყველა სტეხს და კრეფს,
სოფლის კაცი და ქალები.
პოლიციელებს, ღვდლებს, ვაქრებს
ნუ თუ არა აქვთ ყანები,
რომ ასე ტყვილა-უსაქმოთ
დადიან სალახანები?

ამოხინენია ივანემ!..
— შვილო რა გითხრა მაგისო,
შენ ვერ გაიგებ ჯერ მაგას,
მძიმე საკითხი არისო.
მაგათ რათ უნდათ ყანები
ჩვენ ვართ მიმცემი ხარჯისო,
თითველ ჩვენგანს ათ-ათი
მუქთა მულაპველი გვაზისო.
ჯერ პატარა ხარ, აკვანში
უნდა ისმენდე ნანასო.
როცა ისწავლი, გაიგებ
ათას სხვას მაგისტანასო.

შანაკლა.

იმედი.

ისევა ბნელა... არე—მიღამოს
ისევ აწება შავი წყვილია,
იქ კი, ბუმბერაზ მთას ეფარება
ნანატრი სხივი და განთიადი.
რა ახლოს იყო, რა რიგ მიყვარდა
დილის სიტურფე, დილის მშვენება!
რომ ვეღარ ვხედავ, მწარედა ვჩივი:
ვაჰმე, უმისოთ რა მეშველება!..
ნუ თუ სამუდმოთ განშორებია
ტანჯულ ქვეყანას სიცოცხლის სხივი,
და სამუდამოთ ასე იმეფებს
ლამე გულ შავი, ლამე გულ ცივი?
„არა და არა, ათასჯერ არა“;
იმედსა მაძლევს ვარსკვლავთ ციმციმი...
ის თავდებია განთიადისა;
იმ „სხივით“ მოსდის მთვარესაც ღიმი.
არა, სამუდმოთ კი არ დანთქმულა,
მხოლოთ დაგვშორდა იგი მნათობი,
და გარიერთაზე ისევ იფეთქებს
ამობრწყინდება მკვიანთ გამთბობი.
დე, ამ წყვილადში გზა-კვალს მირევდეს
გადახლართულნი ფიქრთან იქვები!..
ბრძოლის ხალისი არ გამიქრება
თუ კი ნაპერწყლობს გულში იმედი!

ანათება.

გული და კუჭი.

(იგავისებური).

ზვიადი,.. განალაღები
გული, კუჭს გაეკამათა:
— რა აზბავია, მშობილო,
გადაქცეულხარ კამათა?
დილაა, შეადღე, სალამო,
გაჰყვირი: „მშია! მწყურია!“
გაყრიან, ვეღარ აგავსეს,
როგორც უძირო ქურია!
მეც შენს მახლობლათ ვბინადრობ,
ზემოდან, მარცხნივ მხარესა,
ზალლით დაეყურებ შენს ყოფას,
ბედისგან განამწვარესა,
და ვწუხვარ, გული მიკვდება
მე შენის ცოდვით დამწვარსა:
ნუ თუ ამ გაუმაძღრობას
ვეროდეს დასდებ საზღვარსა?
აბა, გახედე მიდამოს,
გახედე მინდორ-ქალებსა,
ზეცის გულ-შკერღზე მხეს, მთვარეს,
ვარსკვლავთ ჟღერსა თვალგება,
შებედე ზღვასა მრისხანეს,
არწივს, ცად მონავარდესა,
შებედე ფერად ყვავილებს,
ბაღში გაფურჩქნილ ვარდებსა...
ყური მიაპყარ ბულბულის
მკენესარე, ციურ ჰანგებსა,
მიეაღერსე ნორჩ ბალახს
მდელოზე გადანაგებსა,
უსმინე წყაროს ჩუხჩუხსა
მდინარის დუღუნს, წუხილსა,
მიეაღერსე ცად ელვას,
მრისხანე ქექა ქუხილსა
და ერთხელ მაინც განიცდი
სიტკბო-სიამეს, ლხენასა,
დაუძინებელ სიყვარულს,
ოცნების აღმაფრენასა.
თორემ რასა გავს, მითხარი:
სულ ჰური, მუდამ წყალია,
დროა, ბუნების მშვენებას
ერთხელ შენც მოჰკრა თვალთა!
კუჭს ჩ ეცინა და უთრა:
— ზემოთ რო ცხოვრობ ვიციო,
ლალობ და ხარობ სიამით,
არც ამას უნდა ფიციო...
ჰური და წყალი არ გინდა...
აბა რა თავში იხლიო,
შენ მხოლოდ ამას გასძახი:
„სისხლი, მომეცით, სისხლიო!“
გრძნობების ბუდე გამხდარხარ

და სიყვარულის ბინაო,
 ოცნების ზღვაში დასკურავ
 ვინ დაგიხვდება წინაო,
 მაგრამ დაფიქრდი როდისმე
 და შენს თავს ავი ჰკითხეო:
 „საიდან მომდის ვგ საზრდო,
 ვგ ლალის ფერი სითხეო?“
 — აბა რას ამბობ, ძმობილო!!
 მე შენ გიმტყუნებ ამასა,
 რომ მისცემიხარ მუდმივით
 საზრდოს ძებნას და ქამასა...
 თითონ ვიზრუნო საზრდოზე?!
 შეხედეთ უიცი, საწყალსა!!
 მე თითონ ქველ-მოქმედი ვარ,
 სხვებსაც ვუგზავნი საგზალსა.
 მე ვფეთქ სიამით, ვფართხალობ,
 არ ვზოგავ ღონეს, ძალებსა
 და ვასაზრდოებ ძირს ხელ-ფეხს,
 ზემოთ ყურებს და თვალებსა.
 საზრდოზე ზრუნვა რათ მინდა?
 რა მადგას გასაქირი მე?
 დაუცხრომელათ ჩუხჩუხებს,
 „წითელი წყარო“ ქირიმე!
 მე შენი მტანჯავს სიგლახე,
 ვერ გრძნობ ცხოვრების ბრუნვასა,
 გადაპყოლიხარ ქამა-სმას,
 მარტო საზრდოზე ზრუნვასა!!!

— ოჰ, რა კეთილი ყოფილხარ,

გულიო ჩავვულად ჩმობილო!!
 შენს რჩევა-დარიგებასა
 ყველას მივიღებ, ძმობილო!
 მართლაც რას ვაქნევ ამ ყოფას,
 მუდმივსა სიმსუნავესა??
 მსურს ჰანგი დამატკობელი
 აღმოხდეს ჩემსა ბაგესა!
 არ მინდა პური, არც წყალი ..
 მსურს ოცნებისა მხარეო,
 ძირს სიმსუნავე! მაშ კუჭო
 ამაღლდი, გახაზარეო!

მართლაც, დახედეთ! არ იღებს
 კუჭი აღარც პურს, არც წყალსა...
 ბუნების სიმშვენიერეს
 აღარ აშორებს ის თვალსა.
 ეალერსება დილის ნაშს,
 საღამოს გრილსა სიოსა,
 შეხარის ზეცად ვარსკვლავებს
 შორეულ საიქიოსა,
 ბულბულის კენესას, ნორჩ ბალახს,
 ცივს წყაროს, მოკამკამესა,
 ლაქვარდოვანი ცის გულ-მკერდს,
 შავბნელ თვლიან ღამესა...
 და ნეტარებას ეძლევა

დიდი ხნის მონაწყურები,
 მაგრამ შეხედეთ გულს, საწყალს!..
 მან ჩამოპყარა ყურები!
 იგი შეტოკდა ზედ მეტათ...
 იძახის: „სისხლი! სისხლიო!“
 კუჭი კი ეპასუხება:
 — ჩუმათ! ოცნებას მიშლიო!“

ეშმაკი.

მოთმინევი...

ნუ, ნუ შეახებ თითებს იმ სიმსა,
 ჩემს და შენს-შვა რომ არის გამბული,
 თორემ მაშინვე იფეთქებს გრძნობა,
 მიყუჩებული, დღეს მინაბული.
 ვაჰ, კვალად იმას რა შეაჩერებს!
 დაძლიერდება გაგიჟებულმა
 და დაბრკოლებას, ზღუდეს ჩვენ-შუა,
 ან გაანგრევს, ან ზედ შეაკვდება;
 საბედისწერო დადგება წაში,
 უდროვო დროსთვის გამოწვეული
 და მითხარ, უდროთ რათ უნდა წახვდე,
 მე შენგან სხვებში გამორჩეული?!


მოითმინევი! ქირთ გაუძელი...
 აჰა, საცაა დაურბენს სიო,
 წინ დამიყენებს არჩევანს, მკითხავს:
 „რომელი არის უკეთესიო!

აქ უზრუნველათ, ქირ უნახავათ
 გალაღებული მყუდრო ცხოვრება,
 თუ იქ იმედის შავ საფლავიდან
 მძიმე ლოდისა გადაგორება?!“

და არ იფიქრო პირველ არჩევანს
 მე დაფუქირო, სიცოცხლევ, მხარი!
 არა, მე იმ შავ საფლავს ვეკვებვი,
 რომ გადაგისნა, იმედო კარი!

ფრთასხმულს რომ გნახავ, მცდრთებს შევისხამ
 რა შეგვაჩერებს! გაეჭროლავთ წინა,
 სადაც უგია ძმობას სიყვარულს
 ძვირფასი ტახტი, მუდმივი ბინა!..

ნ. ხომლეფლი.





მ მ ს ტ ვ ი რ უ ლ ი .

გული ვერ მითმენს ოხერი,
 თორემ რალა დროს სტვირია?
 ენა რას იტყვის კეთილსა
 თუ გუნებაში სტვირია!..
 ძმა მეგობრები ვინც მყავდა
 ყველამ მარიდა პირია,
 ერთილა დამრჩა ეშმაკი
 რომ მეთქვა გასაქირია,
 მარა მანც მთელი ზაფხული
 ტკბილათ დაჩაზე ატარა*)
 ჩვენ ჯოჯოხეთში ჩავცტოვა
 განუკითხავათ დავყარა...
 აქეთ მომდგარა მევაღე
 დაუღრენია პირია,
 მეორე მხრითა ათასი
 საქმე და გასაქირია,
 თუ გადვიტანდი ამ ზაფხულს
 იღარც კი აგი მეგონა,
 ტალახს და ოფლში ვცურავდი
 სისხლსა მიშრობდა კოლონა.
 ეხლა დავდევი ცულდ თოხი

*) განა ცოდვა ვშმაკმაკ
 რომ დისვენოს პატარა?

ეშმაკი.

ზურგს გოდრიანი მკილია
 სიციცხლეც მოშხამული მაქვს
 სიკვდილიც ფეხზე მკილია
 ვხედავ რაც ბედის ვყოფილვარ
 ვერც შრომით გავალ ფონსაო
 ისევ ჩაებერავ გულსა
 მესტვირის მონავონსაო,
 ზედ სტვირსაც ავარაკრაკებ
 გზას მივსცემ ნაგუბარსაო,
 ზოგს გულის დარდას გაუქრობ
 ზოგს ვასმევ ნაღველ-შხამსაო.


ვიშ სექტემბერი დამდგარა
 რეკენ სკოლებში ზარსაო,
 მოწაფეების ქრიალი
 აყრუებს მთა და ბარსაო.
 მაგრამ საბრალო ღარიბებს
 აქაც უხშობენ კარსაო:
 მდიდრებს კი გაუყენებენ
 განათლებისა გზასაო.
 მასწავლებლებიც ბევრი გვყავს
 კაკარდებ დიპლომიანი,
 მაგრამ ნუ მკითხავთ რეთია
 მაგათში ხეირიანი.
 სოფლად გაივლი გლეხები
 ოხრავენ ეგ შავ დღიანი
 ცულდა მოსავალს ელიან
 წელია წვიმებიანი.
 დრამების მომკას მიმდგარან
 ცანცარა წვევრებიანი,
 მემამულენი კალოებს
 მიმდგარან გოდრებიანი.
 ქუჩაში ისევ ტყლაშუნობს
 მათრახი პრტყელ კუდიანი.
 სამკითხველოებს გაუვლით
 კედლები ზოსჩანს მტვირიანი,
 ხუნხუნებს ფერი უცვლიათ
 დაძრწიან „მხარ წითლიანი“,
 ავაზაკების დრო არის
 დღე გაუთენდათ მზიანი.
 გენიის ალში ტრიალებს
 მუშაკი მშვიდობიანი,
 ამაოდ ელის შვებასა
 შეკრული ხელებიანი,
 ამაღ ვაკენესებ მეც სტვირსა
 და დავმღერ კაეშნიანი,
 ოღონდ მწყალობდეს ეშმაკი
 გრძელ კულა მათრახიანი

შხანკოლა.

ჩემო სულის დგმა.

ჩემო სულის დგმავ, მაშვრალთა მხარეც,
 შავი ფიქრებით შემობურვილო,
 ყვევ ყორანთ ბრქვალით გულ-გაბასრულო
 და სისხლის კრემლად გადმოფრქვეულო!
 თვალს არ გაშორებ შენი მგოსანი
 თავზე გველები, გიჟდერებ ჩანგსა
 და მკეცხარ ჰანგით, ბრძოლის სიმღერით
 გიქარვებ სვედას, გიქარვებ დარდას.
 მიმღერ: თუმც შენსა ცხოვრების ტატანს
 გადასწოლია წყვილიადი ბნელი
 და შესაზარათ შემოგსინების
 მგესლავ-მშხამავი შავ-კბილა გველი,
 მაგრამ გამაგრდი... გაგულზვიადდი
 ცეცხლის მფრქვევ გზნებათ შესცვალე ცრემლი,
 წარბს ნუ შეუხრი ავ-სულთა რისხვას
 ქირს შეეხევი ვით ბერკეტს გრდემლი.
 ყოველივეს აქვს თავისი ბოლო
 ჩვენც სულ მონები ხომ არ ვიქნებით,—
 დაჰკარავს საათი და შეგვეცვლება
 სულთქმის გოდება სიამოვნებით.
 ჩემო სულის დგმავ, შენი მგოსანი
 ვითარც ფარვანა თავს დაგტრიალებს,
 სურს ემკურნალოს ღუშმის ისრისგან
 მკერდზე დამჩნეულ წყლულებს, იარებს.
 რწმენა იმედის შეგასხავს ფრთებსა
 ჩამოგაშორებს მტანჯავსა სიზმრებს,
 შენს ბედის ჩანგზე გაჰკარავს წკირასა
 დააგუგუნებს ბრძოლისა ჰიმნებს.

დ. თურდოსპირელი.



ნ ა ლ ს ო ნ ი თ.

ჩვენმა თაობამ სირყმე არ იცის,
 ზღაპრათ გადაგვექცა ახალგაზრდობა,
 სიყმაწვილიდან ფიქრებში ქცნება
 აღმტაცებელი პირველი გრძობა.
 ვის უვარება ჩვენგანს უსაზღვროთ,
 რომ დავიწყოდა თვით ქვეყნის ბედი,

ვის არ უგმია თავის ღმერთები,
 არ მოუხრია მონურათ ქელი?
 არ დაუყრია მტრის წინ ფარხმალი?!
 მშობლურ აკენიდან გულით ვბერდებით...
 სურვილიც არ გვაქვს კაცის საფერი.
 უიმედობით, კაეშნით ვზრებით...
 თუ რამ გეძულს ისიც მუნჯურათ, ჩუმათ...
 ახ, წყვევა, კრულვა ჩვენს მომსპობ ძალას!
 თავისუფლება... სიტყვა ცეცხლებრი!
 ცხოვრება გვინდა .. ზიზღი სამსალას
 შავ სამარისგან გამაზა ებულსა!..
 გვინდა ვიცხოვროთ ვით კაცსა შევენის
 დავიწვეთ, დავდნეთ გრძნობის კოცონზე!
 ჩვენ ტახტი გვინდა ბუნების მშვეენის!..
 ახ, შეჩვენება მონებრივ ნუკვარს,
 გაქრეს, შთაინთქოს შხამ ნალელის ღდენი!
 გულო, აართოლდი, გრძნობავ დამდაგე!
 იმედო, ფრთები... ცას ასაფრენი...
 თავს ზარი, მეხი ბიწიერებას,
 ხელი ხელს მივსცეთ და გული გულსა!
 დეე, ჩვენგანმა არვინ დასტიროს
 ვაგლახ სიცოცხლეს, ფუქს, დაკარგულსა!
 არვის გაუხდეს ეამს სიბერისას
 საკრულ-საგმობათ ახალგაზრდობა!
 არ სთქვას ქალარამ თვალცრემლიანმა:
 ,,რათ, რათ დაემარხე აზრი და გრძნობა?!

ვ. მალაქიაშვილი.

კ ა რ ე ქ ტ ო რ ი

(რუსულიდან).

ღამის 12 საათია.
 პეტრე გძელ ცხვირადის ტიპო-ლიტოგრაფიის
 ერთ პატარა ოთახში სხედან ვაზეთ ,,შიკრიკის“
 მეტრანაჟეი რიბაჩენკო და კორექტორი—ამხანა-
 გი ნიკოლოზი.
 ოთახი ნახევი ქალღღებით არის მოფენილი,
 ყველაფერს სტამბის საღებავის სუნი უდის.
 ელიან სააგენტოს უკანასკნელ დეპეშებს.
 დაბალ-დაბალი, ჩასქელებული რიბაჩენკო მა-
 გიდასთან ზის, რომელზედაც ვაზეთის წმინდა ფურ-
 ცელია გადაფარებული, და ,,ტარაკანს“ ადევნებს
 თვალს. ეტყობა ტარაკანს მაგიდაზე გადარბენა სურს,
 მაგრამ ქალღღდის სითეთრე აშინებს და ლამპის
 ჩდილში იმალება.
 ამხანაგი ნიკოლოზი—შავი, გამხდარი და
 სახრესავით გაგრძელებული ახალგაზდა კაცი, ლა-
 ლათ არის სკამზე გაქიმული და ფეხები შუა იატა-
 კამდე აქვს წამოშვებული. მას უშნოთ ვაკეთებული

ყელსახვევი აქვს კისერზე.

ამხანაგ ნიკოლოზს წინ უძევს ქალაღლის წმინდა ფურცელი, რომელიც ლექსებითაა აქრლებული. რამოდენიმე ალაგას ქალებიცაა დახატული. სურათები მოწობენ, რომ მხატვარს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ძუძუ-მკერდის გამოყვანისათვის.

ამ ეამათ კორექტორს ლექსების წერაცა და ხატვაც მოწყენია, გულზე ხელები დაუკრფვია და გაშტერებით სივრცეში იყურება.

— ა-ა, შე კულიანო, — წამოიძახა რიბაჩენკომ და თვლები ტარაკანს მიაშტერა. მთელი საათია ჩრდილში იმალება. შეაშინე რითიმე, ახლავე საღვსზე წამოვავებ და დავიქტრ.

— ამას მეც მოვახერხებ, — ამბობს ნიკოლოზი. იღებს მაგიდაზე მდებარე კალმის ტარს და მაგრათ მოუქნევს ტარაკანს. კალამი მაგიდაში ესობა. შუშინებული ტარაკანი მაგიდის ნაპირამდე მიირბენს და იმალება.

— ძალიან სისულელე მოგივიდა, — ამბობს რიბაჩენკო, კალამი ტყულია გააფუქე, ხვალ ალა ისევ გინებას დაიწყებს. „თქვენმა კორექტურამთან ვადამიტანა, დღეში ერთი ფუთი კალამი არა გყოფნითო!“, და რადგან სტამბაში ყველაზე ადრე მოვდივარ, გინებაც მე მხედება ხოლმე წილათ.

— შენც მოკლილი ყოფილხარ, თუ იმის ბოღვას აქცევ ყურადღებას. რაც უნდა, ისა სთქვას.

— ეგ, თუ გნებავს, ავრეც იყოს, მაგრამ სტამბაში რომ ერთი კალამიც აღარ მოიძებნება...

— კარანდაშითაც გავსწორებ. განცხადება ხომ არ მოუტანიათ?

— ჯერ არა.

— ძალიან სამწუხაროა მე-კი მეგონა, განცხადებასაც მოიტანდენ და ფულსაც ზედ მოაყოლებდენ. იმას მაინც დავიქტრდი ჯამაგირის ანგარიშში. თორემ კანტორის გამგეს თუ შევაჩერდი, შიმშილით მომკლავს...

— კიდევ აღარ იძლევიან ჯამაგირებს? — შეეკითხა მეტრანაჰეი.

— განა იძლეოდენ როდისმე?

— ეს-კი ძალიან ცუდია...

— ცუდი კი არა და პორტუგალიის მეფის მღვდმარეობაზედაც უარესია, მაგრამ რას იხამ? ყოველ დღე ხომ ვერ გაიფიცები? ბურჟუაზიული ვაზეთია, განა იგი როდისმე იხერებს! — დასძენს ნიკოლოზი.

ოთახში რამოდენიმე წუთს მყუდროება ჩამოვარდება. მოისმის მხოლოდ ვირთხების ქყვილი, რომელნიც იატაკ ქვეშ ჩხუბობენ, და წვიმის წვეთების რაკ-რუკი.

— აი, ბეჩავო, საღ არის 905 წელი! — მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ნიკოლოზმა. — „მაშინ

ჩვენ ვაზეთ „რევოლიუციის ზარს“ ესცემდით. მეც რედაქტორი ვიყავი, მუშათა განყოფილებას ვადგენდი. ყველაფერს ჩვენ ვაკეთებდით: წერილებსაც ვადგენდით, კორექტურასაც ვასწორებდით და კიდევაც ვაწყობდით. ასე მიგვყავდა ვაზეთი. 38 ათას ცალს ვებეჭადვდით!

— ოცდა თვრამეტ ათას ცალს? — გაიკვირა რიბაჩენკომ.

— ნამდვილათ აღარ მახსოვს, მეგონი, მეტიც იბეჭდებოდა...

— მერე რაზე ბეჭადვდით ამდენს?

— რაზე და უბრალო მანქანაზე...

— საათში რომ ათასი ცალი დაგებეჭდათ, მთელი ნომრის დაბეჭდვას 38 საათს მოუწოდებოდათ. თქვენი ვაზეთი ხომ ყოველ დღიური იყო და როდის-ღა მოასწრებდით? — შეეკითხა მეტრანაჰეი.

— ჩვენ 38 საათი არ გვიხდებოდა მუშაობა! დილით ნომერი ყოველთვის მზათ იყო.

— კი მაგრამ, როგორ ახერხებდით ამას?

— სწორე მოვახსენოთ, ეს მეც აღარ ვიცი მე მხოლოდ მუშათა განყოფილება მქონდა მონდობილი, სტამბის საქმეს-კი სხვა ამხანაგები განაგებდენ.

— რაც უნდა იყოს, მაინც ძალიან გასაკვირია... შენიშნა რიბაჩენკომ.

— სრულებით არაფერია გასაკვირი, — მაშინ ხომ აღების ჯიბეების გასასქელებლათ არ ვმუშაობდით, ხალხისათვის ვწრომობდით.. სარედაქციო კოლეგია გვქონდა შედგენილი და ყველაფერს ის განაგებდა. ერთ დღეს სარედაქციო კოლეგიის სხდომა იყო დანიშნული. გაცხარებულ კამათში ვიყავით გართული. უცებ კარები გაიღო, ერთი ამხანაგი შემოვარდა და დაიყვირა: „ყაზახებო!“ ერთი თვალის დახამხამებაზე ყველანი ფანჯრიდან ბაღში გადაეცვივდით და იქიდან-კი მეორე ქუჩაზე გავედით. გამოირკვა, რომ ყაზახებს ვაზეთ გაველოთ. ჩვენ-კი შიშით დავიხოცეთ. მთელი ნომრის მასალა დავხიეთ, რო გაჩხრეკის დროს ხელში არ ჩავგრჩენოდა.


— მერე რა უთხარით იმ ამხანაგს, რომელმაც მოგატყუათ? — კითხა რიბაჩენკომ.

— დავადგინეთ გაკიცხვა გამოგვეცხადებინა წინდაუხედავ მოქმედებისათვის... მაინც ძალიან კარგი დრო იყო, — განაგრძო ნიკოლოზმა და თან გამოცოცხლება დაეტყო. მთელი ქალაქის მართვა-გამგეობა ჩვენ ხელთ იყო. უჩვენოთ ფეხსაც ვერავინ ვადადგამდა. მახსოვს, უნივერსიტეტში არეულობა დაიწყო. სტუდენტების ერთი ნახევარი ვაფიცვის მომხრე იყო, მეორე კი წინააღმდეგი. — რექტორი და პროფესორები, — ყველა კადეტები, — ვაფიცვის წინააღმდეგი იყვენ და სტუდენტობაზედაც ამ მხრით ახდენდენ ვაღენას. მშშინ კრამიტის ქარხნის მუშებმა მიტინგი გამართეს და შემდეგი შინაარსის

დადგენილება გამოიტანეს: „პირველი, ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ რექტორსა და პროფესორთა საბჭოს სტუდენტების რევოლუციონური გზიდან აცდენა სურთ, მეორე, რომ ამით პროლეტარიატის ბანაკში დეზორგანიზაცია შეაქვთ, მესამე, რომ ამით საზოგადოებისა და პროლეტარიატისათვის ნორმა-ლური ცხოვრების ილიუზიას ქმნიან, მეოთხე .. ერთი სიტყვით, შეგნებული პროლეტარიატის თვალ-საზრისით ეს მოვლენა აბსოლუტურადაა არა ნორ-მალური და შეუწყნარებელი იყო.

— მართლაც, — დაუმბატა რიბაჩენკომ, — ეს უხე ჩხულია. თუ, მაგალითად, გაფიცვაა, ბარემ ყველა უნდა გაიფიცოს!

(დასასრული იქნება).



ფოტოგრაფია

ფოტოგრაფია. ი. წ. და სხვათა. დეპეშა რომ-ლის შესახებაც თქვენ თავის შეწუხება გინებებიათ, სრულიად არ ეხება თქვენ მიერ აღნიშნულ საგანს. მისი ავტორი ეშმაკია და აშენებულია ის სულ სხვა შემთხვევაზე. საჭირო და შესაძლებელი რომ ყოფი-ლიყო მისი უფრო აშკარათ გამოთქმა, გარწმუნებთ ამაზე ეშმაკი უთუოდ მოახერხებდა. მოვა დრო და მაგასაც მოესწრობით, ხოლო დღეს იცოდეთ, რომ თქვენ მიერ დასახელებულ საქმეს არ შეეხება.

ქუთაისი. გარეშეხ. ახირებულია თქვენი საქ-მე. რამდენჯერ მოგწერეთ, რომ მიუხედავად თქვე-ნი „გენიოსობისა“ მაინც ვერ დაგიბეჭდავთ ლექ-სებს თქო. გუშინ „ნიშადურიდან“ ისე დაუზოგა-ვად ილანძღობდით და დღეს რამ გადაგასხვავე-რათ? ჩამეციებიხართ: „დაფასეთ ჩემი „მესტიერუ-ლი“ ღირსება-ნაკლულევანება და იმედია დაბეჭ-დავთო“ მივირს რომ ასეთ უბრალოზე გვაწუხებთ, როცა ეს თქვენთვისაც ადვილი საქმეა: წაუშლეთ სათაურს წინიდან ოთხი ანბანი; და დაინახავთ რა-ვორია თქვენი ნაწარმოები.

სამბარმდია. დესპოტს. რედაქცია ვერ ბეჭ-დავს თქვენ წერილს, რადგან საკუთარი (თუმცა ზარმაკი) კორესპონდენტი ყავს ადგილობრივ და

რომ ექიმებს ასეთი საქმე ჩადინათ, უთუოდ გვაც-ნობებდა.

შვირილა. ობოლს. „თავი ქვას ვარტყი, კედელს ვახალე, მარა არაკაცს არ შევებრალე!“-ო

იწერებით თქვენ. გარწმუნებთ, რომ ჩვენ ძლიერ გვებრალებით! გაგიგონია: გასტეხს ქვასაცა მაგარ-სა გლდემლი ტყეისა ლბილისა“, მაგრამ თავით ქვების დამტყვევა ჩვენთვის პირველი გაგონებაა და ეს ზოგიერთ პოეტსაც გაუჟიკრდება.

ფოთი. კალოფს. „ბ-ნო რედაქტორო“, გველაპარაკებით, „რადენი ვიწვალე, რამდენი ქა-ლალდი დავხიე, ვიდრე ამ ლექსს დაფურადი და გა-მოვიგზავნიდი!“-ო.

სჩანს ჩვენ ბედნიერები ვყოფილვართ, რომ მარ-ტო ამ ერთის დახვევა გვიწვეს! ესეც შეღავათია! —არა.

„ქართლის-სალამურის“ რედაქციიდან.

ვისაც წლიური ფული სრულათ არა აქვს შე-მოტანილი შემდეგი ნომერი არ გავგზავნება, ხოლო ვისაც მთელი წლის ფული გადახდილი აქვს, რე-დაქცია ბოდიშს იხდის იმათ წინაშე, რათა ეურნა-ლის გამოცემა სხვა და-სხვა მიზეზთა გამო წესიერათ ვერ მიდის. შემდეგში ეცდება თავ-თავის დროზედ მიაწოდოს ნომრები და დაპირებული პრემიაც გა-უგზავნოს ადრე ხანში.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія «Шро-ма» Василю Болквадзе.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე მწიფინციების ცაკეზანებათ მსურველთ შემდეგი გამოცემანი:

- 1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი ერთათ შეკერილი. . . 1 მან.
- 2) „ „ „ 1908 წ. 35 № . . . 2 „
- 3) „ალმანახები“ 1909 წ. 10 № . . . — 50 კ.
- 4) „მათრახ-სალამ.“ და ალმანახები 1909 წლი-სა 33 ნომერი 2 მან.
- 5) ფაუსტი. გიოტესი, თარგმანი პ. მირიანი-შვილისა 1 მ. 25 კ.
- 6) კოპერნიკი. კანდელაკისა — 35 კ.
- 7) ქრისტინე. დრამა 4 მოქ-ნინოშვილისა, გადმოკეთებული ირეთლისა 20 კ.

მსურველს შეუძლია ფულად მიაგივრათ ღირე-ბული ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ადრესი: Тифлисъ Типографія Шрома Василю Болквадзе.



მანუელ - ყოფილი მეფე ჰოხიუელისა.




კახიოთ.




კობეკა



ვაშალი



თევ. ბრაგა.
პრეზიდენტი პოქსეუ. ჰესპულოკისა.




ლპ. ბომბასა
ლიბრის პოქსეუამ ვაშინგა აქანუბა.



ზაქელოუს. ახალი გინანაა პონსეი.




ახალი პონსეი პინგან. სიქეია.



ს ა თ უ ლ ა რ

ეშველ. ეს ზა ხალხია ,,კახახოჯი“
 ვლენი. ჩენი სოფლის ,,უჩიტლებია“
 ბატონო. წყალში უნდა ვაღაყუაო.



წახვალ ინახე, არ წახვალ ინახე!

იეჭუიძე. ცუდი დღე დამოგვა ამ პო-
 რტუგელოში. აღარც აქ მაყენებენ, აღარც
 სხვები მიღებენ.